ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N18

ზუგდიდი, ერგეტა "16" ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ **სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლა**, მისამართი: **ზუგდიდი, სოფელი ერგეტა, დ.აღმაშენებლის ქ.N10**; ს/კ 220373637; ს.ს. ლიბერთი ბანკი **LBRTGE22; ა/ა GE52LB0121195793654000** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სკოლის **დირექტორის აკაკი როგავას** სახით

და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ინტერიერი"**, მისამართი: **ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის N 87**; ს/კ220369107; ს.ს. „ლიბერთი ბანკი" **LBRTGE22, ანგ. N GE14LB0113138696024000**, (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმომადგენელი **დირექტორი გიორგი შონიას** სახით

შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე: რომ 2018 წლის ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შემსყიდველმა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯაროს სკოლის რესურს ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, (კლასიფიკატორის(CPV) კოდები: 45400000 და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: 4932.38 ლარი (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

ხელშეკრულების საგანი

ა) ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის რესურს ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოების **(CPVკოდი 45400000)** მიწოდება ხელშეკრულების დანართი N1–ის (შ.პ.ს. „ინტერიერის" 29.06.2018 წ. N7 წერილი, შემოსულებში რეგისტრირებული 29.06.2018 წ. N841405 კორესპონდენცია) წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ბ) სახელშეკრულებო პირობები:

შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმბებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 4932.38 **(ოთხიათას ცხრაას ოცდათორმეტ ლარს და 38თეთრს) ლარს.**

1. **წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა;

გ) სამუშაოების შესრულების ვადები;

დ) ნახაზები და სპეციფიკაციები;

1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

1.5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

1.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის ათვლა იწყება:

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ''(შემდგომში _ ,,ხელშეკრულება'') _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია,, (შემდგომში ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე უფლება და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

3.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ინსპექტირება

4.1. შემსყიდველი ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე, სამუშაოს მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირი არის: სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის დირექტორი - აკაკი როგავა.

სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში:

ა) სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - თეა გოგია;

ბ) ან/და ასევე სკოლის ბუღალტერი - მარგალიტა ნაჭყებია;

4.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

4.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს,

ალმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ უხისმგებლობის ღონისძიებები.

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1 სამუშაოს დაწყების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში და უნდა დასრულდეს სამუსაოების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

5.3. მხარეები პერიოდულად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.4. თუ მიმწოდებელი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში დაუსაბუთებლად, (შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად) ვერ ასრულებს სამუშაოებს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

5.5. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

6.2. სამუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.

7.3. საბოლოო სამუშაოების შესრულებამდე ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა №2 და ფორმა №3), თუმცა ანგარიშსწორება არ განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის, ლიცენზირებული ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენამდე.

7.4. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა №2 და ფორმა №3) ხელმოწერის უფლება აქვს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის დირექტორს აკაკი როგავას;

7.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. გარანტია

8.1. ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას:

ა) კარების მოწყობის სამუშაოებზე - 5 წელი;

ბ) სამღებრო სამუშაოებზე - 3 წელი;

გ) ელექტროობის მოწყობის სამუშაოებზე - 5 წელი;

დ) იატაკის მოწყობის სამუშაოებზე - 5 წელი;

ე) შიდა მოპირკეთების სამუშაობზე - 5 წელი;

ვ) ფანჯრის ჟალუზებზე - 5 წელი;

ზ) ხოლო ყველა სხვა შესასრულებელ სამუშაოებზე საგარანტიო ვადა განისაზღვრება 3 წელი.

საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარანტია არ ვრცელდება მექანიკურ დაზიანებებზე.

8.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

9.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების (მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა №2 და ფორმა №3) და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება.

9.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს სამუშაოების დასრულების შემდეგ, ფორმა N2, ფორმა N3 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

9.6. საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენება;

9.7. შუალედური ანგარიშსწორება არ ხორციელდება.

9.8. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის, ლიცენზირებული ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს;

9.9. წინასწარი საავანსო ანგარიშწორება არ განხორციელდება.

9.10. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

10. ფასები

10.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ: მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

10.2. ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები,

ულთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

12.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 5 (ხუთი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

12.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

12.5. თუ კი მიმწოდებელი 12.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

12.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.7 ამ მუხლის 12.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12.8. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების 9.5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწიდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გემა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით;

15.2. ხელშეკრულების ვადა ხელშეკრულების მე–9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეადგენს 2018 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით.

16. ხელშეკრულების ენა

1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:		მიმწოდებელი:
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლა საიდენტიფიკაციო N 220373637 მის.: ზუგდიდი, სოფ. ერგეტა, დ.აღმაშენებლის ქ.N10. ტელ.: 577628920 დირექტორი აკაკი როგავა ..... ხელმოწერა		შ.პ.ს. „ინტერიერი“ საიდენტიფიკაციო N 220369107 ბანკის კოდი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE14LB0113138696024000 მის.: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის N87 ტელ.: 593 26 14 17; 558 93 77 87 ელექტრონული მისამართი: giorgishonia58@mail.ru დირექტორი გიორგი შონია ..... ხელმოწერა

ს.ს.ი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ერგეტის საჯარო სკოლის
რესურსოთახის მოწყობის სამუშაოები
ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

№№	ნორმატივის №№	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		ღირებ. ლარი	
				განზომ. ერთეულზე	საერთო მონაცემები	განზომ. ერთეულზე	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
		I. სადემონტაჟო სამუშაოები					
1	სნ და წ 4-82	კედლებიდან ამორტიზებული შელესვის მოხსნა	$მ^2$		12,0		
	ცხ 46-15-2	შრომის დანახარჯი	კ/სთ	0,186	2,23	4,6	10,27
2	ს/ფ	კედლებიდან და ჭერიდან ამორტიზებული შეთეთრების და ზეთოვანი საღებავის ჩამოფხეკვა	$100მ^2$		1,02		
	ს/ფ	შრომის დანახარჯი	$მ^2$	100	102,0	1,8	183,60
3	სნ და წ 4-82	ხის ამორტიზებული კარის ბლოკის დემონტაჟი და დასაწყობება	$მ^2$		3,77		
	ცხ 46-32-3	შრომის დანახარჯი	კ/სთ	0,887	3,34	4,6	15,38
4	სრფ 14-15	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა და გატანა ავტოთვითმცლელით 15კმ-ზე	ტ		1,0	40,00	40,00
		II. სამშენებლო სამუშაოები					
1	სნ და წ 4-82	კედლების (ადგილებში) გაუმჯობესებული შელესვა ძვიშა-ცემენტის ხსნარით	$100მ^2$		0,12		
	ცხ 15-55-5	შრომის დანახარჯი	კ/სთ	64,0	7,68	7,8	59,90
	სრფ 4.1.355	ხსნარი მოსაპირკეთებელი 1:2	$მ^3$	1,78	0,21	118,0	25,20
2	სნ და წ 4-82	იატაკის ძველ ღორღის საფუძვლის მოწყობა დატკეპვნით სისქით 10სმ 5,95X5,8X0,15=5,18$მ^3$	$მ^3$		5,18		
	ცხ 8-3-1	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0,89	4,61	6,0	27,66
	კარიერი	ღორღი ფრაქცია 40-60მმ	$მ^3$	1,15	5,96	18,0	107,23
	სრფ 15-15	ღორღის ტრანსპორტირება 15კმ-დან	ტ	1,6	9,53	10,00	95,31
		მანქანები	ლარი	0,37	1,92	3,2	6,13
		სხვა მასალები	ლარი	0,02	0,104	3,2	0,33
3	სნ და წ 4-82	იატაკის მოჯიმვა ბეტონით სისქით 3სმ	$100მ^2$		0,345		
	ცხ 11-11. 1-2	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	40,20	13,87	6,0	83,24
		მანქანები	ლარი	1,74	0,60	3,2	1,92
	ს/ფ	ბეტონი მ250	$მ^3$	3,06	1,06	132,0	139,39
		სხვა მასალა	ლარი	6,64	2,29	3,2	7,33
4	სნ და წ 4-82	ლამინირებული კარის ბლოკის მოწყობა კომპლექტით 1,45X2,6=3,77$მ^2$	$100მ^2$		0,0377		
	ცხ 10-20-2	შრომის დანახარჯი	კ/სთ	82,7	3,12	7,8	24,32
		მანქანები	ლარი	29,0	1,09	3,2	3,50

	სრფ	ლამინირებული ორფრთიანი კარის ბლოკი ფრამუგით კომპლექტში	მ²	100	3,77	112,0	422,24
		სხვა მასალა	ლარი	18,0	0,68	3,2	2,17
5	სნ და წ 4-84	ჭერის შეღებვა წყალემულსიის საღებავით 2-ჯერ	100მ²		0,345		
	ცხ 15-168-4	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	51,6	17,81	7,8	138,90
	სრფ 4.2-41	წყალემულსიის საღებავი თეთრი	კგ	63	21,74	4,8	104,36
	სრფ 4.2-87	საფითხნი	კგ	55	18,98	0,5	9,49
6	სნ და წ 4-82	კედლების, კარ-ფანჯრების და ნიშების ფვერდულების გაუმჯობესებული შეფითხვა და შეღებვა წყალემულსიის საღებავით 2-ჯერ	100მ²		0,672		
	ცხ 15-168-3	შრომის დანახარჯი	კ/სთ	41,0	27,55	7,8	214,91
	სრფ 4-2-37	წყალემულსიის საღებავი (ფერი შეთანხმებით)	კგ	63,0	42,34	4,8	203,21
	სრფ 4-2-80	საფითხნი	კგ	51,0	34,27	0,5	17,14
7	სნ და წ 4-82	ლამინირებული პარკეტის იატაკის მოწყობა ქვესაგებით და პლინტუსებით	100მ²		0,345		
	ცხ 11-27-4	შრომის დანახარჯი	კ/სთ	53,6	18,49	7,8	144,24
		მანქანები	ლარი	3,65	1,26	3,2	4,03
	სრფ	ლამინირებული პარკეტი ბერძანული ან მსგავსი ქვესაგები ღრუგელით	მ²	103	35,54	22,0	781,77
	სრფ	ლამინირებული პლინტუსი ჩ-4სმ	მ/მ		23,00	2,1	48,30
		სხვა მასალა	ლარი	10,7	3,69	3,2	11,81
		ჯამი I+II					2933,28
		სატრანსპორტო ხარჯები მასალებიდან	5%			1975,29	98,76
		ჯამი					3032,05
		ზედნადები ხარჯები	10%				303,20
		ჯამი					3335,25
		გეგმიური დაგროვება	8%				266,82
		სულ ჯამი I+II					3602,07
		III. ელ-სამონტაჟო სამუშაოები					
1	სნ და წ 4-82	ელსადენების მოწყობა	100მ		0,52		
	ცხ 21-18-1	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	13,9	7,23	7,8	56,38
	სრფ	ელსადენი 2X2,5 მმ² სპილენძის იზოლირებული	მ/მ		28,0	1,5	42,00
	სრფ	ელსადენი 2X1,5 მმ² სპილენძის იზოლირებული	მ/მ		24,0	1,4	33,60
	სრფ	პლასტმასის კაბელ-არხები 25X16	მ/მ		52,0	0,5	26,00
2	სნ და წ 4-82	ჩამრთველების და შტეფსელების მოწყობა	ც		6		
	ცხ 21-23-5	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0,372	2,23	7,8	17,41
	ს/ფ	ავტომატური გამომრთველი ორფაზა კოლოფით	ც		1	10,0	10,00
	ს/ფ	ჩამრთველი ორპოლუსიანი ბუდით	ც		1	5,0	5,00
	ს/ფ	საშტეფსელო როზეტი სამიანი ბუდით	ც		4	5,0	20,00
	ს/ფ	გამანაწილებელი კოლოფი	ც		3	1	3,00
3	სნ და წ 4-82	სანათების მოწყობა	100ც		0,06		
	ცხ 21-25-1	შრომის დანახარჯი	კ/სთ	60,4	3,62	7,8	28,27

	ს/ფ	ბრა ჰერმეტული დიოდური 203ტ	ცალი		6	22,0	132,0
		სხვა მასალები	ლარი	2,66	0,16	3,2	0,51
		ჯამი					374,17
		სატრანსპორტო ხარჯები მასალიდან	5%			272,11	13,61
		ჯამი					387,77
		ზედნადები ხარჯები ხელფასიდან	70%			102,06	71,44
		ჯამი					459,21
		გეგმიური დაგროვება	8%				36,74
		ჯამი III					495,95
		ჯამი I+II+III					4098,02
		გაუთვალისწინებელი სამუშაოები	2%				81,96
		ჯამი					4179,98
		დღგ	18%				752,40
		სულ ჯამი					4932,38

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლა საიდენტიფიკაციო N 220373637 მის.: ზუგდიდი, სოფ. ერგეტა, დ.აღმაშენებლის ქ.N10. ტელ.: 577628920 დირექტორი აკაკი როგავა ..... ხელმოწერა	შ.პ.ს. „ინტერიერი" საიდენტიფიკაციო N 220369107 ბანკის კოდი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი" LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE14LB0113138696024000 მის.: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის N87 ტელ.: 593 26 14 17; 558 93 77 87 ელექტრონული მისამართი: giorgishonia58@mail.ru დირექტორი გიორგი შონია ..... ხელმოწერა

შეთანხმება

ზუგდიდი, ერგეტა,
დ.აღმაშენებლის ქ.N10.

,,17" აგვისტო 2018 წ.

ერთის მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლა (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენელი სკოლის დირექტორის აკაკი როგავას სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ინტერიერი" (შემდგომში "მიმწოდებელი") და მისი წარმომადგენელი დირექტორის გიორგი შონიას სახით, ვთანხმდებით შემდეგზე (შ.პ.ს. ,,ინტერიერის" 17.08.2018 წ. N5 წერილის შემოსულებში რეგისტრირებული 17.08.2018 წ. N1017937 კორესპონდენცია), რომ ჩვენ შორის 2018 წლის ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯაროს სკოლის რესურს ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (კლასიფიკატორის (CPV) კოდით 45400000), **2018 წლის 16 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N18-ის**

1). მე-15 მუხლის, პირველ და მე-2 პუნქტში, შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

,,15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით".

,,15.2. ხელშეკრულების ვადა ხელშეკრულების მე–9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეადგენს 2018 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით".

2). წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ,,შემსყიდველთან", ერთი კი ,,მიმწოდებელთან" და წარმოადგენს 2018 წლის 16 ივლისს დადებული N18 ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლა საიდენტიფიკაციო N 220373637 მის.: ზუგდიდი, სოფ. ერგეტა, დ.აღმაშენებლის ქ.N10. ტელ.: 577628920	შ.პ.ს. ,,ინტერიერი" საიდენტიფიკაციო N 220369107 ბანკის კოდი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი" LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE14LB0113138696024000 მის.: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის N87 ტელ.: 593 26 14 17; 558 93 77 87 ელექტრონული მისამართი: giorgishonia58@mail.ru
დირექტორი აკაკი როგავა	დირექტორი გიორგი შონია
.....	.....
ხელმოწერა	ხელმოწერა